საქართველოს
შ.პ.ს.
„საქსპეცშახტომონტაჟი“
ქ.თბილისი, მ.წინამძღვრიშვილის ქ. №186
ტელ: 2 34-02-07,2 34-02-76; 599 55 36 19
ელ. ფოსტა: shakhtomontaj@yahoo.com

GEORGIA
L.T.D.
„SAQSPECSHAKHTOMONTAJ“
Tbilisi, M.Cinamdzgvrishvili st.№186
Tel:2 34-02-07, 2 34-02-76;599 55 36 19
E-mail: shakhtomontaj@yahoo.com

№ 13 “ 9 “ ივნისი 2014 წ

ქ.თბილისის მერიის სსიპ-ქალაქ თბილისის
არქიტექტურის სამსახურის უფროსს
შ.პ.ს.“საქსპეცშახტომონტაჟი“-ს გენერალური
დირექტორის შალვა ჯალაღონიას
(თბილისი, მ.წინამძღვრიშვილის ქუჩა #186, ტელეფონი:
599 55 36 19)~

განცხადება

თქვენი 2014 წლის 16 მაისის ბრძანება №1282942- ის პასუხად გიდგენთ შემდეგს: თქვენს მიერ

„ა“პუნქტში მოთხოვნილი ბრძანება პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის ბრძანების ასლის შესახებ, ჩვენს მიერ წარმოდგენილი არ არის ასეთის არ არსებობის გამო, რადგან სალეგალიზაციო ღიობები გამოჭრილია პროექტის გარეშე 2007 წლამდე.

„გ“ პუნქტით გათვალისწინებული თქვენი მოთხოვნა შესრულებულია-იხილეთ ფოტო №1

რაც შეეხება ‘ბ“ პუნქტის მოთხოვნას, წარმოვადგინოთ 01.13.07.023.073 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეების მიერ ობიექტის ლეგალიზებასთან დაკავშირებით გაცემული თანხმობა არის უკანონო, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №660 ბრძანებულება და „ქონების ლეგალიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონი, უნებართვო ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტის ლეგალიზების დროს მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრეების თანხმობას არ ითვალისწინებს, კანონი ითხოვს თანამესაკუთრის თანხმობას, რაც ჩვენს მიერ არის წარმოდგენილი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 81-ე მუხლის ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამისილი არ არის მოსთხოვოს განმცხადებელს წარუდგინოს სხვა რაიმე დამატებითი საბუთი ამ ინფორმაციის გარდა. ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული საფუძვლით ადმინისტრაციული წარმოების შეჩერება ან განცხადების განხილვაზე უარის თქმა.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ კანონით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენისაგან გაგვათავისუფლოთ და ჩვენი განცხადება ღიობების ლეგალიზების შესახებ დააკმაყოფილოთ კანონით დადგენილი წესით.

თხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, გთხოვთ გვაცნობოთ საქართველოს რომელი კანონით და ნორმატიული აქტით არის გათვალისწინებული უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტის ლეგალიზების საკითხის გადაწყვეტისას მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრეების თანხმობა?

ხოლო ასევე გაცნობებთ, რომ დონეთა შორის დამაკავშირებელი ფართი (53X83 სმ) ჩვენს მიერ გაუქმებულია-იხილეთ ფოტო №2.

შ.პ.ს."საქსპეცშახტომონტაჟი"-ს
გენერალური დირექტორი: /შ.ჯალაღონია/